


ღმრთის

№ 10, 2017



გეგმვით ანბანქალაქი

მთაში, ბარში, ზღვაზე... მოგზაურობა ყველგან კარგია, მაგრამ არსებობს ისეთი მხარე, სადაც ანბანის გარეშე ვერ იმოგზაურებ. რა ადგილია ასეთი ჯადოსნური და საოცარი? ეს ყველასგან გამორჩეული, საინტერესო ანბანქალაქია! იქ ყოველი დღე ქალაქის ჰიმნით, ანუ ანბანის გამეორებით იწყება. ამას მოჰყვება ერთობ დიდებული საზეიმო მსვლელობა, რომლის დროსაც ანბანის ოცდაცამეტივე ასო ამაყად ჩაივლის გრამატიკის გამზირსა და ფრიად სწავლულთა ქუჩის კვეთაზე მდებარე ქართული საგანძურის მოედანზე.

და ეს ყველაფერი როდია – აქ, ამ ქალაქში, დღის მანძილზე იმდენი საინტერესო რამ ხდება!.. კალამი თვითონ მიხირდება და იწყებს ამ ამბების ზღაპრებად ქცევას. ჰოდა, როდემდე უნდა დასჯერდე შორიდან ცქერას? კეთილი იყოს შენი მობრძანება და ჩვენი დახვედრა ანბანქალაქის გალავნის ჭიშკართან მოსულ პატარავ!



ან ბ

ან-ბან, ან-ბან –
დღეს ვეცნობით ქართულ ანბანს.

ბ დ

გან და დონ, გან და დონ, –
ზარმაცებმა სიზარმაცე გა-და-დონ!

ე ვ

ენ-ვინ, ენ-ვინ –
უანბანოდ კითხულობს ვინ?

ზ თ

ზენ-თან, ზენ-თან –
თუ ისწავლი, მიხვალ ბრძენთან!

ი კ

ინ-კან, ინ-კან –
უსწავლელი ვის ჰგავს? თიკანს!

ლ მ

ლას-მან, ლას-მან –
მაღე ერთად ვიტყვით: მასწ, მასწ!

ნ ი

ნარ-ონ, ნარ-ონ –
უქნარებმა ბუზი თვალონ!

პ ე

პარ-ჟან, პარ-ჟან –
ცოდნა გატეხს სიპ და კაჟ ქვას.

რ ს

რაე-სან, რაე-სან –
ნიგნი აქრობს კაეშანს.

ც უ

ტარ-უნ –
ყველა დუმს,
ვერვინ დებს სკოლას წუნს!

ფ ქ

ფარ-ქან, ფარ-ქან –
ჩანთაში ვდებთ რვეულს, ფანქარს...

ღ ყ

ღან-ყარ, ღან-ყარ –
უსწავლელი ინყებს კანკალს.

შ ჩ

შინ-ჩინ, შინ-ჩინ –
თუ ვისწავლით, ვივლით წინ-წინ!

ც ძ

ცან-ძილ, ცან-ძილ,
სიზარმაცე დღეიდან ძირს!

წ ქ

წილ-ჭარ, წილ-ჭარ –
ზოგჯერ სწავლა კი ჰგავს ჭინჭარს.

ხ ჯ

ხან-ჯან, ხან-ჯან –
ცოდნა არგებს თან გონს, თან ჯანს.

ჰ

ჰაე, ჰაე, ჰაე –
კენტად დაგვრჩა, ვახ მე...
მოდით, ერთად გავამხნევოთ,
შემოვძახოთ რამე.

ჰაე, ჰაე, ჰოპლა,
ყველა ასო ჩამოვთვალეთ
და ანბანიც მორჩა!



ჩოჩქოლი ანბანქაქაქში

ანბანქალაქში დილიდანვე დიდი ამბავია, ერთი ჩოჩქოლი და რია-რიაა, რადგან **ბ**-ს თავის წინ მდგომი **ა** თვალში ეპატარავა, პირველობა მოინდომა და: – თუ ბიჭი ხარ, შემეჯიბრე, მიდი ერთი, ამ თოკის ბოლოს მოეჭიდეო! – ნიშნის მოგებით მიაძახა.

ა – ტანით მართლაც კი იყო **ბ**-ზე ჩია და პატარა, მაგრამ ვაჟკაცობა არ აკლდა და უარი არ თქვა, თოკს, რაც შეეძლო, მაგრად ჩაებლაუჭა.

დაიწყო განევ-გამონევა – ვინც თოკს თავისკენ გადასძლევდა, გამარჯვებაც მას ერგებოდა. გამარჯვებული ანბანის თავში მოექცეოდა, ამაზე უკეთესი ჯილდო ანბანქალაქში, აბა, რა უნდა ყოფილიყო?! ბრძოლა თავიდანვე უთანასწოროდ დაიწყო. წესების თანახმად, მოძმეთა დახმარება დაშვებული იყო, ამიტომ სულ მალე თოკის მარჯვენა მხარეს ხმოვნები: **ა, ე, ი, ო, უ**, მარცხნივ კი თანხმოვნების მთელი ბრბო ჩამწკრივდა. ოცდარვა ხუთს რომ აჯობებდა და თოკს თავისკენ გადასწევდა, ამაში ეჭვი არავის ეპარებოდა, არადა, იცოცხლეთ, სეირის საყუ-

რებლად ბევრზე უფრო ბევრი ცნობისმოყვარე შეკრებილიყო.

– კიდევ რომ გაიმარჯვოთ, მაგ გამარჯვებას ჩალის ფასი აქვს, რადგან თქვენ ჩვენ გარეშე უსუსურნი და უფასურნი ხართ! – ერთიმეორის გასამხნეველად და თანხმოვნების გასახელებლად ომახიანად გაიძახოდნენ ხმოვნები.

– ცოტა ბევრს როგორ აჯობებს?! არაფერი გამოგივათ, ჩვენ ვერასდროს გვაჯობებთ! ჰი-ჰი, ჰა-ჰა-ჰაა...

თანხმოვნები სიცილით მანამ იჭაჭებოდნენ, ვიდრე **ა**-ს **ი** არ წამოეშველა:

– „აია“, „აი ია“ – ხედავთ, ჩვენ უთქვენოდაც ვამბობთ სათქმელს, თქვენ კი, თუმცა ბევრს ბაქიბუქობთ, ხმოვნების გარეშე ერთი სიტყვაც ვერ გითქვამთ.


დიდხანს ეწვალნენ თანხმოვნები, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ – სიტყვას ვინ ჩივის, უხმოვნოდ მარცვალიც ვერ ამოთქვეს. ჰოდა, მიხვდნენ თავიანთ შეცდომას და შერცხვათ, **ა**-ს პირველობა ერთხმად მიულოცეს.

ჩასვი გამოტოვებული ხმოვნები ისე, რომ მიიღო სიტყვები:

წ — ნ —
 ძ — ლ —
 მ — ა —
 რ — ლ —
 ნ — ა —
 კ — ტ —
 ვ — ზ —
 თ — თ —

ლ — მ —
 ტ — ტ —
 ნ — ნ —
 ს — კ —

ბ — ა —
 ჰ — ა —



მხატვარი
 იულია ნიკოგოსოვა

დათვების მარანში

რთველი აქვთ დათვებს ტყის პირას,
დაკრიფეს მაყვლის თალარი,
დარეცხეს დიდი ქვევრები,
დაასუფთავეს მარანი.
ზოგი შორიდან დაბრუნდა, –
მოცვზე ნასული ტყეშია,
დაცალეს დიდი გოდრები,
შვებით გასწორდნენ წელშია.
შემოდგნენ საწნახელზედა,
დასძახეს ჰარი-ჰარალი,
დოვლათითა და ხალისით
აივსო დათვის მარანი.
მაყვლის და მოცვის ნაჭური
მოდის საწნახლის ტუჩიდან,
ზოგი ფელამუშს ადუღებს,
ზოგს სავსე კოკა უჭირავს.

დარბიან ურჩი ბელები
კოვზებითა და ჯამითა,
დასკდომაზე აქვთ მუცლები
ცხელი თათარის ჭამითა.
გაივსო დიდი ქვევრები,
ახლა სტუმრებსაც ელიან,
საწნახლის ახლოს დასხდნენ და
ასეთ სიმღერას მღერიან:
„გვალაღებს ტყეთა ბარაქა,
ღვინო გვექნება უღევი,
ზამთარს შევხვდებით ამაყად,
დალხინებული გულებით.
ქეიფს გავმართავთ დათვები,
ვიტყვიტ იმ მთისას, ამ მთისას,
ღვინოს დავღვევთ და დავთვრებით,
ძილს მივეცემით ზამთრისას“...

მხატვარი
მალხაზ კუსაშვილი



მათემატიკოსი პრინციკო

ზამთრის გაუსაძლის ყინვებში ჩემს აივანზე ფრინველებს პურის ნამცეცებს ვუყრიდი ხოლმე. შემომეჩვივნენ სხვადასხვა ჯიშის ფრთოსნები, ვის არ ნახავდით: ბელურებსა თუ შაშვებს, ჩხიკვებსა თუ კაჭკაჭებს, ყვავებსა თუ მტრედებს... ერთი კაჭკაჭი ძალიან გამიშინაურდა, აივანზე მოფრინდებოდა ხოლმე და ფანჯარაზე ნისკარტს მიკაკუნებდა. ხელისგულზე პურს დავიფშვნიდი და მასთან გავდიოდი. რამდენიმე შეხვედრის შემდეგ კაჭკაჭმა გამარჯობა მითხრა. ყურებს არ დავუჯერე, ვიფიქრე, მომესმა-მეთქი, მაგრამ ნურას უკაცრავად, მან გამარჯობა ისევ გამიმეორა.

– შენ რა, ლაპარაკობ? – გაცებულმა ვკითხე.

– დიახ, – თავი დამიქნია, – მე მათიკო მქვია, – გამეცნო, თან ხელისგულიდან ნამცეცებს კენკავდა.

– მათიკო, შემოდი სახლში, გაგათობ და წყალსაც დაგაღვინებ, – შინ შევიპატიუე

მოლაპარაკე ფრინველი.

– კარგი, – ამოიჩხავლა და მხარზე დამასკუპდა.

მე და მათიკო დავმეგობრდით. ფრინველი უამრავ საინტერესო ამბავს მიყვებოდა, ჰოდა, მეც გადავწყვიტე, მისი ერთი მონათხრობი თქვენც გაგიზიაროთ:

ეს ამბავი მათიკოს ბარტყობაში მომხდარა. განათლების სამინისტროს ცხოველებისა და ფრინველებისთვის მათემატიკაში ოლიმპიადა გამოუცხადებია. ფრინველთა ბარტყები თუ ცხოველთა ნაშიერები დიდ დარბაზში მერხებთან დაუსხამთ და ათის ფარგლებში დავალებები მიუციათ. ოლიმპიადაზე ყველაზე ბოლოს სელაპებს ვეება აკვარიუმში მჯდარი რვაფეხა დიდი ზარ-ზეიმით შემოუყვანიათ და მინის ჭურჭელი თავისუფალ მერხზე შემოუდგამთ. ეს რვაფეხა შავი ზღვის მბრძანებლის, დიდი აბიბოს ვაჟი პრინციკო გახლდათ, აბიბოს სამეფოს ერთადერთი უფლისწული. პრინციკოს მეფური წარმომავლობის გამო, რვაფეხას ვერავინ უწოდებდა, მას, როგორც რვახელას, ისე მოიხსენებდა.



ნიებდნენ. შავი ზღვის უფლისწულს თავზე მცირე ზომის ოქროს გვირგვინი ედგა.

დაიწყო ოლიმპიადა. პირველი დავალება ჟიურის წევრმა დაფაზე დაწერა: $2+3$.

პრინციკომ ორ საცეცს სამი მიუმატა და აკვარიუმიდან ხუთი „ხელი“ ამოყო. მისი პასუხი ყველაზე სწრაფი და სწორი გამოდგა, ამიტომ პირველ დავალებაში ათიანი დაიმსახურა.

ჟიურიმ მეორე დავალებაც დაფაზე დაწერა: $8-5$. შავი ზღვის უფლისწულმა საკუთარ საცეცებს ხუთი გამოაკლო და ახლა სამი ხელი ამოსწია. ჟიური პრინციკოს ნიჭიერებით აღფრთოვანდა – იგი აქაც პირველი აღმოჩნდა და კვლავ ათიანი მიიღო.

მესამე დავალება შედარებით რთული გამოდგა: $3+4-2$.


პრინციკომ აქაც იყოჩაღა, სამ საცეცს ოთხი მიუმატა, მერე ორი მოაკლო და აკვარიუმიდან ხუთი ხელი ამოყო, რითიც კომისიის წევრთა ოვაციები დაიმსახურა.

ოლიმპიადის ერთ-ერთი მონაწილე, დათვის ბელი ძალიან გაბრაზდა: – პრინციკო ამ თავის ხელებს თუ ფეხებს „შპარგალკებად“ ხმარობს და გაიმარჯვებს, აბა, რას იზამსო, – უკმაყოფილომ ჩაიბურტყუნა.



კომისიამ პრინციკოს ოქრო მედალი ჩამოჰკიდა და მათემატიკოსის დიპლომი გადასცა. ძალიან ბედნიერი იყო შავი ზღვის მბრძანებლის, დიდი აზიბოს ერთადერთი შთამომავალი.

აი, ჩემო პატარა მკითხველო, რა მიაბზო მათიკომ. ის კიდევ ბევრ, ძალიან ბევრ საინტერესო ამბავს მომიყვა და მეც ვეცდები, ნელ-ნელა ყველა გიამბოთ.



გინდა, მათემატიკა გიყვარდეს? მაშინ რიცხვიკვირკიტას შემოუერთდი და მოცემული კენტი რიცხვები სამი მარტივი რიცხვის სახით წარმოადგინე. მაგალითისთვის რიცხვიკვირკიტას რვეულში ჩაგაჭყიტებ:


- $9 = 3 + 3 + 3$ ან $2 + 2 + 5$ ან $7 + 1 + 1$
- რაც მეტ ვარიანტს მოიფიქრებ, მით უკეთესი!
- $7 =$
- $15 =$
- $11 =$
- $18 =$



თინიკო გოგიჩაშვილი

ნახსენებები

მეგობრული



„წელს სკოლაში მივბრძანდები,
რალა დასამალია! –
ეუბნება ნია ჟირაფს, –
შენთვის აღარ მცალია!

მე ყველაფერს მოგიყვები,
რასაც თავად ვისწავლი,
არ გენყინოს, პატარა ხომ
შენთან ერთად ვიყავი!

კარგი, კარგი, მოვიფიქრე,
იქნებ, ჩაგსვა ჩანთაში,
გაკვეთილზე არ იცეღქო,
არ ატეხო განგაში!“

ჟირაფს – პეპი,
პეპის – დათვი,
დათვს – მელია,
მელას – პანდა...
მოკლედ, ყველა მოკალათდა
და გაივსო ნიას ჩანთა.

„რა ვქნა ახლა, – ფიქრობს ნია,
– სად წავიღო ნიგნები?! –
შემდეგ ბაბუს ეუბნება:
– მოხარული ვიქნები,
ბებოს ჩანთით წამოიღო
შენ სასკოლო ნივთები!“

**მხატვარი
მარიაშ დავითაშვილი**



პანია ენოტი და ის, ვინც ბუბურაჟი ზის



პანია ენოტი პატარა იყო, მაგრამ მამაცი. ერთხელ დედამ სთხოვა:

– დღეს საესე და ნათელი მთვარე იქნება. პანია ენოტო, შეგიძლია, მარტო ნახვიდე თავნება მდინარესთან და ვახშმად კიბორჩხალები მოიტანო?

– რა თქმა უნდა, – უპასუხა პანია ენოტმა. – ისეთ კიბორჩხალებს მოვიტან, როგორიც არასოდეს გვიჭამია.

პანია ენოტი პატარა იყო, მაგრამ მამაცი.

ლამით დიდი და ნათელი მთვარე ამოვიდა.

– ნახვამდის, პანია ენოტო! – უთხრა დედამ, – გუბურამდე იარე, ზედ დიდი ხეა გადებული. იმ ხილით მეორე ნაპირზე გადახვალ. ეს საუკეთესო ადგილია კიბორჩხალების დასაჭერად. მთვარის შუქზე პანია ენოტი გზას გაუდგა.

ის ძალიან ბედნიერი და ამაყი იყო!

ტყეში შევიდა.

სრულიად მარტო.

ცხოვრებაში პირველად!

ჯერ ნელა მიდიოდა,

შემდეგ ნაბიჯს აუჩქარა,

ბოლოს კი ხტუნვა-ხტუნვით გაიქცა.

მალე პანია ენოტი ულრან ტყეში შევიდა.

იქ მოხუცი მაჩვზღარბა ისვენებდა.

მას ძალიან გაუკვირდა, როცა პანია ენოტი ტყეში დედის გარეშე დაინახა.

– ასე მარტოდმარტო სად მიდიხარ? – შეეკითხა მოხუცი მაჩვზღარბა.

– თავნება მდინარესთან! – ამაყად მიუგო პანია ენოტმა. – ვახშმად კიბორჩხალები უნდა დავიჭირო.

– მერე არ გეშინია, პანია ენოტო? შეეკითხა მოხუცი მაჩვზღარბა. – ხომ იცი, რომ ის არა გაქვს, რაც მე მაქვს – გრძელი და ბასრი ეკლები.

– არ მეშინია! – უპასუხა პანია ენოტმა: ის პატარა იყო, მაგრამ მამაცი.

პანია ენოტმა მთვარის შუქზე გზა განაგრძო.

ჯერ ნელა მიდიოდა,

შემდეგ ნაბიჯს აუჩქარა,

ბოლოს კი ხტუნვა-ხტუნვით გაიქცა.

მალე მწვანე ველზე გავიდა, იქ დიდი სკუნსი იჯდა. მასაც გაუკვირდა, როცა პანია ენოტი ტყეში დედის გარეშე დაინახა.

– ასე მარტოდმარტო სად მიდიხარ? – ჰკითხა დიდმა სკუნსმა.

– თავნება მდინარესთან! – ამაყად მიუგო პანია ენოტმა. – ვახშმად კიბორჩხალები უნდა დავიჭირო.

– მერე არ გეშინია, პანია ენოტო? – შეეკითხა დიდი სკუნსი. – ხომ იცი, რომ ის არა გაქვს, რაც მე მაქვს: მყრალ სითხეს ვაფრქვევ და ყველანი გარბიან.

– არ მეშინია! – უპასუხა პანია ენოტმა და გზა განაგრძო.

გუბურის მახლობლად მსუქანი კურდღელი შენიშნა.

მსუქან კურდღელს ეძინა, მან ცალი თვალი გაახილა და წამოხტა.

– როგორ შემაშინე, – წამოიძახა მან. – ასე მარტოდმარტო სად მიდიხარ, პანია ენოტო?

– თავნება მდინარესთან, გუბურის მეორე მხარეს! – ამაყად მიუგო პანია ენოტმა.

– ოო-ოო! – წამოიძახა მსუქანმა კურდღელმა, – მისი არ გეშინია?



– ვისი უნდა მეშინოდეს? – შეეკითხა პანია ენოტი.

– იმის, ვინც გუბურაში ზის, – უპასუხა მსუქანმა კურდღელმა. – მე მისი მეშინია!

– მე კი არ მეშინია! – მიუგო პანია ენოტმა და გზა განაგრძო.

ბოლოს პანია ენოტი იმ დიდ ხეს მიადგა, რომელიც გუბურაზე იყო გადაებული.

– აქ უნდა გადავიდე. – თავისთვის ჩაილაპარაკა პანია ენოტმა. – მეორე მხარეს კი კიბორჩხალებს დავიჭერ.

პანია ენოტმა გუბურის მეორე მხარეს დაიწყო გადასვლა.

ის მამაცი იყო, მაგრამ რამ შეახვედრა ის მსუქანი კურდღელი?! არ უნდოდა იმაზე ფიქრი, თუ ვინ იჯდა გუბურაში, მაგრამ თავს ვერ მოერიო.

შეჩერდა და შიგ ჩაიხედა.

გუბურაში მართლაც ვილაც იჯდა!

ეს ის იყო! იქ იჯდა და მთვარის შუქზე ენოტს უყურებდა. პანია ენოტმა არ შეიმჩნია, რომ შეეშინდა.

შემდეგ დაემანჭა.

ვინც გუბურაში იჯდა, ისიც დაემანჭა.

რა საშინელი სახე ჰქონდა.

პანია ენოტი შემობრუნდა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მოკურცხლა, მან ისე სწრაფად ჩაურბინა მსუქან კურდღელს, რომ იმას ისევ შეეშინდა. ასე ირბინა შეუჩერებლად, სანამ დიდ სკუნსს დაინახავდა.

– რა მოხდა? რა მოხდა? – შეეკითხა დიდი სკუნსი.

– იქ, გუბურაში, ვილაც უზარმაზარი ზის! – წამოიყვირა პანია ენოტმა. – მეორე მხარეს ვერ გადავდივარ.

– გინდა, შენთან ერთად წამოვიდე და გავაგლო? – შეეკითხა დიდი სკუნსი.

– არა, არა! – ნაჩქარევად მიუგო პანია ენოტმა. – ეს თქვენ არ უნდა გააკეთოთ!



– კარგი, – უთხრა დიდმა სკუნსმა. – მაშინ ქვა წაიღე, მხოლოდ დაანახე, რომ ქვა გაქვს.

პანია ენოტს ძალიან უნდოდა შინ კიბორჩხალების მიტანა, ამიტომ ქვა აიღო და ისევ გუბურისკენ გაემართა.

– იქნებ უკვე წავიდა! – თავისთვის ჩაილაპარაკა პანია ენოტმა. – არა, არ წასულა!

ის გუბურაში იჯდა.

პანია ენოტმა არ შეიმჩნია, რომ შეეშინდა.

მან ქვა მალლა ასწია.

ვინც გუბურაში იჯდა, იმანაც მალლა ასწია დიდი ქვა!

პანია ენოტი გულადი იყო, მაგრამ პატარა თავქუდმოგლეჯილი გამოიქცა, არ შეჩერებულა, სანამ მოხუცი მაჩვზღარბა არ დაინახა.

– რა მოხდა? რა მოხდა? – იკითხა მოხუცმა მაჩვზღარბამ.

პანია ენოტმა იმის შესახებ უამბო, ვინც გუბურაში იჯდა.

– იმასაც ქვა ჰქონდა, – უთხრა პანია ენოტმა. – დიდი, უზარმაზარი ქვა.

– მაშინ ჯოხი აიღე, – უპასუხა მოხუცმა მაჩვზღარბამ, – უკან დაბრუნდი და აჩვენე, რომ უშველებელი ჯოხი გაქვს.

პანია ენოტს ძალიან უნდოდა შინ კიბორჩხალების მიტანა, ამიტომ ჯოხი აიღო და ისევ გუბურისკენ გასწია.

– იქნებ წასვლა მოასწრო, – თავისთვის ჩაილაპარაკა პანია ენოტმა.

ის კი არ წასულა.

ძველებურად ისევ გუბურაში იჯდა.



პანია ენოტი არ დალოდებია, უშველებელი ჯოხი ასწია და დაემუქრა.

მაგრამ ვინც გუბურაში იჯდა, იმასაც ჰქონდა ჯოხი. უზარმაზარი, უშველებელი ჯოხი! და იმ ჯოხით დაემუქრა პანია ენოტს.

პანია ენოტმა ჯოხი გადააგდო და გაიქცა. ირბინა, ირბინა.

მსუქან კურდღელსაც ჩაუქროლა.

დიდ სკუნსსაც ჩაუქროლა.

მოხუც მაჩვზღარბასაც ჩაუქროლა.

სახლამდე არც კი გაჩერებულა.

პანია ენოტმა დედას უამბო იმის შესახებ, ვინც გუბურაში იჯდა.

– დედა, ისე მინდოდა კიბორჩხალების დასაჭერად მარტო წავსულიყავი. ისე მინდოდა, ვახშმად მომეტანა...

– ჰოდა, მოიტან! – უთხრა დედამ, – აი, რას გეტყვი, პანია ენოტო. უკან დაბრუნდი და ამჯერად...

არ დაემანჭო.

არც ქვა წაიღო,

არც ჯოხი!

– აბა, რა ვქნა? – იკითხა პანია ენოტმა.

– მხოლოდ გაუღიმე! – უთხრა დედა ენოტმა. – წადი და იმას გაუღიმე, ვინც გუბურაში ზის.

– მეტი არაფერი? – იკითხა პანია ენოტმა. – დარწმუნებული ხარ?

– სულ ესაა, – უპასუხა დედამ. – დარწმუნებული ვარ.

პანია ენოტი მამაცი იყო და ეს დედამაც იცოდა.

და ისევ გუბურისკენ გასწია.

– ბოლოს და ბოლოს, იქნებ აქედან წავიდა! – თავისთვის ჩაილაპარაკა პანია ენოტმა.

არა, არ წასულა.

ის ძველებურად გუბურაში იჯდა.

პანია ენოტი შეჩერდა.

შემდეგ საკუთარი თავი აიძულა, რომ გუბურაში ჩაეხედა.

შემდეგ საკუთარი თავი აიძულა, რომ იმისთვის გაეღიმა, ვინც გუბურაში იჯდა.

და იმან, ვინც გუბურაში იჯდა, საპასუხოდ გაუღიმა!

პანია ენოტს ისე გაუხარდა, რომ სიცილი დაიწყო. შემდეგ მოეჩვენა, რომ ის, ვინც გუბურაში იჯდა, ისევე იცინოდა, როგორც გახარებული ენოტები.

– ჩემთან მეგობრობა უნდა! – ჩაილაპარაკა პანია ენოტმა. – ახლა კი შემიძლია მეორე ნაპირზე გადასვლა.

და ხეზე გადაირბინა.

თავნება მდინარის პირას პანია ენოტმა კიბორჩხალების დაჭერა დაიწყო.

მალე იმდენი დაიჭირა, რამდენის წაღებაც შეეძლო.

უკან ისევ გუბურაზე გადებული ხილით გადავიდა.

ამჯერად პანია ენოტმა ხელი დაუქნია იმას, ვინც გუბურაში იჯდა.

იმანაც საპასუხოდ დაუქნია ხელი.

პანია ენოტი შინისაკენ გარბოდა და ხელში კიბორჩხალები ეჭირა.

არასოდეს არც მას და არც დედამისს ასეთი გემრიელი კიბორჩხალები ჯერ არ ეჭამათ. ასე თქვა დედა ენოტმა.

– ახლა ყოველთვის შემიძლია მარტო წასვლა! – თქვა პანია ენოტმა, – უკვე აღარ მეშინია იმის, ვინც გუბურაში ზის.

– ვიცი, – უპასუხა დედამ.

– ის, ვინც გუბურაში ზის, ცუდი არ არის! – თქვა პანია ენოტმა.


– ეგეც ვიცი, – უთხრა დედა ენოტმა. პანია ენოტმა დედას შეხედა:

– მითხარი, ვინ ზის გუბურაში?

დედა ენოტს ჯერ გაეცინა, მერე კი ყველაფერი აუხსნა.

თარგმნა **გიორგი კაკაბაძე**





ლალი ჯაფარაშვილი

ფოთოლცვენა

მთვარის შუქზე დაითრთვილა
ფერშეცვლილი ბალები,
შემოდგომა შეხვდა დილას
თრიმლის ბაირალებით.
ოქროფერილ ალვის ხეებს
მიეახლა ნიავი
და დაიწყო ფოთოლცვენის
უნაზესი შრიალი.

ლია კოხალაძე

შემოდგომა

ცამ აკრიფა ხვატი და
მინას პირი მობანა,
მზე ღრუბლებში თამაშობს
კუკუდამალობანას.
ქარი წამოიქოჩრა,
შექმნა განამანია,
ზვრებში სასუსნავებთან
სალალობოდ გასწია.
აშრილდნენ ბალები,
ატყდა ტყაპატყუპი და,
ხეებს მწიფე ნაყოფი
წამოსცვივდა უბიდან.
სავსე, ხელხვავრიელი
გულუხვი და ძლიერი
შემოდგომა მობრძანდა
მთელი სიმშვენით!..

ნუნუ კამუკაშვილი

სამადლობელი

შემოდგომა მოსულა,
თავს იწონებს ყურძენი:
– დიდ-პატარას, შეხედეთ,
რა ნობათი ვუძღვენი.

ბრილიანტად ვციმციმებ,
მარგალიტით ვირთვები,
აი, როგორ დავხუნძლე
ის პანია კვირტები.

პატარებო, მენვიეთ,
მზის სხივს თავად ვადნობ და...
მზეს, წვიმას და გამრჯე ხელს
მინდა ვუთხრა: – მადლობა!



მხატვარი
გიორგი ჩაჩანიძე

ფერთა თამაში

შემოდგომა მოსულა
 ლამაზ ფერთა თამაშით,
 აბა, რა სჯობს შეხედვას
 შემოდგომით მარანში...
 ჩხები ჩამწკრივებულა,
 აკიდო და ჯაგანი,
 აქ მოხუცი ფუსფუსებს,
 არ გეგონოთ ჯაბანი.
 ხარისხაზე თავს იწონებს
 ჩურჩხელების ჯარი,
 ჩუხჩუხებენ ქვევრები –
 გამოსხენით კარი!
 სურნელებით დაგათრობთ
 კომშიცა და მსხალიც,
 მათი ერთხელ ჩაკბეჩაც
 დაგიბრუნებთ ხალისს...
 წითლად მღიმარ ბრონეულს
 გვერდით უდგას ხურმა,

აქ ჩირების ასხმულა
 აგემოვნოთ უნდა.
 კუნწულ-კარალიოკებს
 ლოყა ჩაჰყვითლებიათ
 და მსუქანი ვაშლები
 ყუთებს ჩარიგებიან...
 თუმცა, ცოტა აცივდა,
 მზეც მოხუცდა თითქოს
 და ტალახში ფეხები
 ეთხუპნება ფისოს...
 მურია კი ხალისობს,
 გრილად არის, მოსწონს,
 პატარები სადამოს
 აჩალებენ კოცონს.
 აბა, რა ჯობს შემოდგომით
 ხმაურიან სოფლებს,
 ფეხქვეშ გააქვს ხრამახრუმი,
 ფერად-ფერად ფოთლებს.



მზია ჩხატინი

ოქტომბერი

ვაზებს, კაკლებს,
 ცაცხვებს, ალვებს
 სცვივათ ოქროს ფანტელი,
 დგას ფერადი ოქტომბერი –
 ფოთლის კორიანტელი.



ნოტების პრინციპი

იყო და არა იყო რა... ყველგან იყო და არის მუსიკა: ტყეში, ქალაქში, სასახლეში, ბოსტანში, ჭიამიას ფრთებზე, ურმის თვლებზე, ატმის ჭრელ კურკაში, სადაფის ნიჟარაში... ხან აბიბინებულ ყვავილებს ააკისკისებს, ხან ნაკადულს უცვლის ფერს, ძილის გუდაში ძვრება, პატარა გოგო-ბიჭებს თმებს უწუნავს, ჯადოსნური ოცნებებით თავბრუს ახვევს და ზღაპრების მოსმენის გუნებაზე აყენებს. მუსიკის გარეშე ზღაპრებიც არ იწერება. დიახ, ყველა ამბავს ახლავს საკუთარი მელოდია, რომელიც მხოლოდ იმ ადამიანებს ესმით, რომლებსაც მუსიკა საზრუნავს ავინყებს. ისინი ნოტების სიახლოვეში თვალებს ხუჭავენ, ხელებს ნიავს ააყოლებენ და... ისმენენ:

ნოტების სოფელი ცხრაწეარო

იყო გოგონა, რომელიც მუსიკას ყველგან და ყველაფერში აგნებდა, ამა თუ იმ არსებამდე სათითაოდ მიჰქონდა და სამუდამოდ ტოვებდა მათ გულებში. გოგონას ბარბარე ერქვა, მისი ამბავი კი დეკემბრის თოვლიან დღეს, იმერეთის ერთ პატარა სოფელში დაიწყო.

ბარბარე რომ გაჩნდა, სადღესასწაულო ტანსაცმელში გამოწყობილი ნოტები სამყაროს ყოველი მხრიდან იმერეთისკენ გაფრინდნენ. გზაზე ერთმანეთს ლაპარაკს არ აცდიდნენ:

- ჩვენ რომ ვნატრობდით, ისეთი გოგო დაბადებულა!
 - დიახ, დიახ, სოფელ ცხრაწეაროში, გენერალ სპირიდონ მაჭავარიანის სახლში!
 - მტირალა ხომ არ არის? იცით, ტირილის ხმა თავბრუს მახვევს!
 - ტირილი რა საკადრისია, ამბობენ, მტრედით ღულუნებსო!
 - სადაც არის, ბულბულივით ამღერდებაო!
 - აი, ნახავთ, რა საოცარ სიმღერებს გამოიგონებს!
 - ანუ იმის თქმა გსურთ, რომ კომპოზიტორი გამოვა?
 - რა სულსწრაფობაა, ჯერ ხომ ჩვილია!
 - კომპოზიტორი ქალი იშვიათობაა!
 - ოჰ, ეს უადგილო ეჭვები!
 - თუ არ ვირქარეთ, გვიტიას იავნანასაც ვერ მოვისმენთ, პირველად რომ უმღერებს ქალიშვილს!
- იმერეთის თოვლიანი ფერდობების დანახვაზე ნოტებმა ფრაკებიდან და ფერად-ფერადი კაბების კალთებიდან ფიფქები ჩამოიფერთხეს, შლაპები და

ყვავილებით მორთული ქუდეები გაისწორეს, ერთმანეთს ხელი ჩაჰკიდეს, მდინარე ყვირილას გადაუფრინეს, ციციქნა აჯამურა ააფორიექეს, მაყვლარიანის სერზე კამარა შეკრეს, აღმართი ცეკვა-ცეკვით აიარეს და კვიპაროსებიან ეზოში შეცვივდნენ.

მაჭავარიანების ორსართულიანი სახლი საუცხოო მელოდიებს აევსო, ყველგან ნოტები ჩამომსხდარიყვნენ: დაფიფქულ ტოტებზე, აღმურმოდებულ საკვამურზე, ბაფთიან გიტარებზე, სუფრაზეც კი დამძიმებულ ჭურჭელს სულ წკრიალი გაუდიოდა. ახალშობილის ოთახში სტუმრებს ფეხაკრეფით შეჰქონდათ საჩუქრები და „იავნანებს“ მღეროდნენ. ბარბარეს მეღმისფერი თვალეები დაეჭყიტა და ციციქნა ხელებით ნოტებს ეთამაშებოდა.

დღის მიწურულს, მოკრიალებულ ცაზე მთვარე რომ აცურდა და ყინვამ მოუჭირა, გვიტიას ხმაც გაისმა: „მანანოები მოდიანოო... ძილი მოაქვთ გუდითაოო...“ ბარბარეს მთქნარება მგზავრობისგან დაღლილ ნოტებსაც გადაედოთ და თვალეები ძილით გაეცსოთ.

თუმცა ნოტების სოფლად ქცეულ ცხრაწეაროში სასწაულები ამით არ დასრულებულა. მაჭავარიანების სახლს ცხენოსანი მიადგა და მასპინძელს საჩუქრები გადასცა: ოქროსბაფთიანი გიტარა და ფაიფურისთავიანი თოჯინა სამახსოვრო ნაქარგით „ვარინკას“.



ბარბარე-ჯინსკა

ბარბარეს მამა სახელოვანი მეომარი, გლეხების დამცველი, მონყალე კაცი იყო, დედა – ობლების ქომაგი, საუცხოო მომღერალი, სილამაზით განთქმული ქალი. გოგონა ზღაპრულ გარემოში იზრდებოდა და კვლავ არ ილევოდა ნოტები მის გარშემო.

„დო“ ბრაზისგან გაბერილ გომბეშოს ჰგავდა;
„რე“ – ჭკუამხიარული ჩხიკვების გადაძახილს;
„მი“ მეზობლის ფისომ მოიხდინა;
„ფა“ – ძიძის კაბამ;
„სოლ“ ჭაში ჩაგდებულ კენჭს გაჰყვა;
„ლა“ მზეს სწვდებოდა;
„სი-სიი,“ – გაჰკიოდა ქარი თუ ჰაერში მოქნიული მწყემსის წკეპლა.

მუსიკით სავსე დღეები ერთმანეთს მისდევდა...

ზაფხული იდგა. თეთრ კაბაში გამოწყობილი ბარბარე სტუმარს ელოდა – ქალბატონს, რომელმაც შვიდი წლის წინათ თოჯინა უსახსოვრა და მეორე სახელი, ვარინკა დაანათლა. უეცრად თუთის ხეზე უცხო მელიოდიზე მომღერალი ნოტები ჩამოსხდნენ. გოგონა წამოხტა, მაგრამ მალევე გაახსენდა, თუთის ნაყოფი კაბას რომ უსვრიდა, განაწყენებულმა ხეს ზურგი შეაქცია და თოჯინა გულში ჩაიხუტა.

ბარბარეს თოჯინას მსოფლიოში სახელგანთქმული ოსტატის, მაღამ ფლორის შეკერილი კაბა ეცვა. ძველად მსგავს სათამაშოს იშვიათად თუ სადმე ნახავდით. ფაიფურის თავები ჩინეთიდან და ინდოეთიდან ჩამოჰქონდათ, ტანსა და სამოსს კი ხელმარჯვე ქალები კერავდნენ. ბარბარე თოჯინას აკვირდებოდა და ოცნებობდა, თავადაც შეექმნა რაიმე ისეთი გამორჩეული, მთელ ქვეყანას რომ გააოცებდა.

აივანზე სპირიდონი გამოვიდა. თან მსახური ახლდა კვერცხით, ფქვილითა და ყველით სავსე კალათით ხელში.

– მამა, ჩვენი სტუმარი რატომ იგვიანებს?
– ქალბატონი ზინაიდა შენს მოსასმენად შორიდან მოდის. თუ შენი სიმღერა მოიწონა, ფორტეპიანოზე დაკვრას გასწავლის. მასთან ქუთაისში ივლი, ქალთა გიმნაზიაში სწავლას რომ დაიწყებ. ახლა კი ეს კალათა გონჯას მივართვათ, წამოგვყევი.

– დღეს გონჯაობაა, როგორ დამავინწყდა!.. ოჰ,

ნეტავ, გონჯამ ისეთი წვიმა მოიყვანოს, თუთას ნაყოფი არ შერჩეს!

სპირიდონმა თეთრი კაბა შეუთვალა გოგონას, მერე თუთას გახედა და ჩაეღიმა. მალე თავით ფეხამდე გამურულმა გონჯა-ბიჭმა ჭიშკარს ჯოხი შემოსცხო და დასჭყვივლა:

**გონჯა მოდგა კარსა,
აბრიალებს თვალსააა!**

ბარბარეს ჩაეცინა, ნამღერი დაინუნა, მამას ახედა და წარბები შეყარა. მერე თვალის დახამხამებაში ჭიშკარი გააღო, ბიჭს ჯოხი წაართვა, ქვაზე ახტა და თავისებურად დასჭყეკა:

**გონჯა მოდგა კარსააა...
აბრიალებს თვალსააა,
ვინც საციქველი არ მისცევეს,
გვალვა მის ყანასააა!**

გულმოსულმა გონჯამ დონინჯი შემოირტყა, მისმა მხლებლებმა ყურებზე ხელები აიფარეს, დაფეთებული ნოტები კი ცაში აცვივდნენ, ღრუბლებს თავზარი დასცეს და სანამ დაბნეული მსახური მოსულებს წყალს შეასხამდა, გაიღვავა, დაიქუხა და წვიმამაც დასცხო. მთლად გამურულ-განუნული ბარბარე მამასთან ერთად სახლისკენ გაიქცა.

– ეს რა გონჯა მყოლია სახლში და არ ვიცოდი!
– ხარხარებდა სპირიდონი.

– გონჯას წყალი რატომ მიასხით, მამა?
– თუ გვალვებია, წყალს ვასხამთ. თუ გვინდა, რომ წვიმამ გადაილოს, ნაკვერჩხალს ვაყრით.

– შემდეგ ზაფხულს მე ვიქნები გონჯა! მერე რა, რომ გოგო ვარ, წვიმა ვერ მოვიყვანე თუ?!


– გადწყვეტილი ამბავია, ქალიშვილო! ახლა კი დროა, მასწავლებელს შეხვდე.

ქოლგიანი მსახური და თუთაზე ჩამომსხდარი უცხო ნოტები ზინაიდა ვორობეცს მიეგებნენ. ბარბარე სტუმრისკენ გაიქცა, იმან გულში ჩაიკრა გოგონა და ჩასჩურჩულა: როგორც იქნა, ჩვენი ნოტები ერთმანეთს შეხვდნენო.



მალე ვარინკა ქალაქში გადასახლდა. ვორობე-
ცის ნოტებსა და თოჯინებს დაუმეგობრდა, ისმენ-
და საუცხოო თავგადასავლებს მაძამ ფლორიზე,
თუმცა ყველაზე მეტად ერთი ამბავი ხიბლავდა:
შვიდი წლის წინათ, ჩვიდმეტ დეკემბერს როგორ
ჩაუქროლეს ვორობეცის ფანჯარას სადღესასწაუ-
ლო სამოსში გამონყობილმა ნოტებმა, ბარბარეს
დაბადება შეატყობინეს, მან კი საუკეთესო თოჯინ-
ა აარჩია, სახელი თავის ენაზე გადათარგმნა და
კაბის ბოლოზე ამოაქარგა: „ვარინკას.“

თურმე ნოტების გადაფრენა არც აკაკი წე-
რეთელს გამოჰპარვია: სხვიტორში, თოვლიანი
კაკლის ქვეშ დასეირნობდა, უცხო მელოდიები
რომ ჩაესმა. მერე ყური მოჰკრა ნოტების ჩურ-
ჩულს: კომპოზიტორი ქალი გაჩენილა იმერეთ-
შიო, მსახურს შვიდსიმიანი გიტარა გამოატანი-
ნა, ზედ ოქროს ბაფთა დაამაგრებინა და სპირი-
დონ მაჭავარიანის სახლში გაგზავნა.



ოქროსბაფთიანი გიტარა

გიმნაზია რომ დაამთავრა, ვარინკა ნამდვილ
პრინცესად იქცა. მისი ხმა ყველას ხიბლავდა, თუმ-
ცა ნოტებით გარშემორტყმული რომ დადიოდა, ამას
მხოლოდ ორად-ორი ადამიანი ამჩნევდა – აკაკი და
ზინაიდა. ბარბარეს ორივე ძალიან უყვარდა, თუმცა
გულის სიღრმეში მაძამ ფლორის აღმერთებდა და
მასთან შეხვედრაზე ოცნებობდა. დარწმუნებული
იყო, საკუთარი თვალით თუ ნახავდა სახელგანთქ-
მულ ოსტატს, წარმატების საიდუმლოს ამოხსნიდა
და სწორ არჩევანსაც გააკეთებდა.

სანატრელი დღე უეცრად დადგა: ვარინკა იმ-
პერატორის პატივსაცემად გამართულ ზეიმზე
მიიწვიეს. როგორ გაიხარა, როდესაც მხლებლებს
შორის მაძამ ფლორიც შენიშნა. ოქროსბაფთიან
გიტარას ხელი დაავლო, სიმღერა დაიწყო და მთე-
ლი დარბაზი მოაჯადოვა. აღტაცებულმა იმპერა-
ტორმა ნოტების პრინცესას მერცხალი უწოდა.

მაძამ ფლორის გოგონას დაჟინებული მზერა არ
გამოჰპარვია, მიუახლოვდა, კითხვებით სავსე თვა-
ლებში გამომცდელად ჩახედა და გიტარა გამოარ-
თვა:

– ოჰ, რა საბრალოა ეს ინსტრუმენტი ჩემს ხელ-
ში, თუმცა... ჩემსავით ვერც შენ აამღერებ უძვირ-
ფასეს ქსოვილებს. ყველა ხელს თავისი საქმე ერგო,
მერცხალო, სამყაროს ის ნაყოფი უნდა დავეზურუ-
ნოთ, რისი თესლიც გვაჩუქა.

ვარინკა განითლდა და თავი დახარა. მაძამ
ფლორიმ თავზე ხელი გადაუსვა, მის მხარზე განა-
ბულ შლაპიან ნოტს საჩვენებელი თითით მიეალერ-
სა და ჩასჩურჩულა:

– ისეთი ზღაპრებისა უნდა გვეუბნოდეს, თავად
რომ მოახდენ.

გაოცებული ვარინკა მხრებზე, კაბის კალთებ-
სა და გიტარაზე ჩამომსხდარ ნოტებს დააკვირდა.
გაახსენდა, ერთად როგორ მოჰყავდათ წვიმა, უხ-
მოზდნენ ფანტელებს, კურნავდნენ სნეულებს, აცი-
ლებდნენ ბატონებს. მუსიკას უფრო დაუფერებ,
ვინემ სიტყვებსო, – ხშირად უმეორებდა აკაკი, რო-
დესაც ვარინკა მის ლექსებს ამღერებდა. როგორ
გაშინაურებია სასწაულს, თურმე თვალდახუჭული
დაეძებდა წარმატებას!

მაძამ ფლორის მაღლიერი თვალებით ახედა,
ნოტებს ხელი მოხვია, გულში ჩაიკრა და სახლში გა-
ხარებული დაბრუნდა.

სულიკო-ვარინკა

ზაფხული იდგა. თეთრ კაბაში გამონყობილი ბარბარე სტუმარს ელოდა. პოეტს, რომელმაც ოცდაერთი წლის წინათ ოქროსბაფთიანი გიტარა უსახსოვრა. ნოტები თავს ევლებოდნენ და ცხრანყაროდან სად აღარ მიაფრენდნენ მის საუცხოო მელოდიებს.

– „სულიკოს“ შენებური კილო უნდა მოარგო, ბუღბულო, – ფიქრებში წასულს თავზე წამოადგა აკაკი.

– „სულიკოს?!“ – გაუბედავად ჩაეკითხა ნოტების პრინცესა.

აკაკი წერეთლის ლექსი „სულიკო“ ლამის მთელმა საქართველომ ზეპირად იცოდა, ამიტომაც დაფრთხა ვარინკა. ნოტები კი მისი გაუბედაობით სულაც არ მოიხიბლნენ, აკაკის გარშემო შეგროვდნენ, კოპები შეკრეს და თავიანთ მბრძანებელს მკაცრად გამოხედეს. წინააღმდეგობას აზრი არ ჰქონდა!

ვარინკამ გიტარა აიღო და გაუბედავად გადამარცვლა სტროფები:

საყ-ვარ-ლის საფ-ლააავს...

ვე-ძებ-დიიი...

ვერ ვნა-ხეეე...

დაკარ-გულიყოოო...

აკაკი სავარძელში მოკალათდა, მოლოდინით განაბული ნოტები მის გარშემო ჩამოსხდნენ. გოგონამ ფრთხილად გადაატარა თითები სიმებზე. ნოტებს ახლებური ფორმა ეხამუშათ, დაფრთხნენ და ფანჯრებს მიაწყდნენ. ახლა ვარინკამ შეყარა წარბები, დაუყვავა, ყველა უკან მოაბრუნა, თავის გემოზე გადაანყო და თითოეულს ახალი ადგილი მიუჩინა.


ჩაიკვნეს-ჩაიჭიკჭიკა,

თითქოს თქვააა... დიახ... დიახოოო...

და აი, თვალის დახამხამებაში ვერც მაჭავარიანების ორსართულიანმა სახლმა, ვერც თუთის ხემ, ვერც ეზომ, ვერც ცხრანყარომ, ვერც იმერეთმა და ვედარც საქართველომ დაიტია „სულიკოს“ ჰანგები სიმღერა მთელ სამყაროს მოედო.

ადამიანებმა „სულიკო“ თანდათან გაიშინაურეს და, სამწუხაროდ, მისი ნამდვილი შემქმნელის სახელი დაავინყდათ, ხალხურ სიმღერად მიიჩნიეს. მაშინდელ დროში ვერც ერთი ქალი ვერ იოცნებებდა და გაბედავდა საკუთარი საავტორო უფლებებისთვის ბრძოლას, თუმცა ნოტების პრინცესამ ფარ-ხმალი როდი დაყარა: გუდა-ნაბადი აიკრა, ცხრა მთა, ცხრა ზღვა გადაიარა, ხან ჭიას დაეხმარა დედის პოვნაში, ხან ობლის კვერის გამოცხოვას უცადა, ხან მგალობელ შაშვს უსმინა, ფქვილს ქატო გამოაცალა, ჭირს ლხინი ანაცვალა, „სულიკოს“ ავტორობა დაიბრუნა და უსამართლობას კუდიტ ქვა ასროლინა!

დღეს აკაკი წერეთლის „სულიკოსთვის“ შემქმნილი საოცარი მელოდიის ავტორის სახელი სახალხოდ არის ცნობილი.



ბარბარე-ვარინკას სხვა ბევრი საინტერესო თავგადასავალი გადახდა. ჩვენი ზღაპარი კი მის იმერულ ოდაში დაიწყო და იქვე მთავრდება:

თეთრ კაბაში გამონყობილი ნოტების პრინცესა აივანზე ზის და მოსწავლეებს, გლეხის გოგო-ბიჭებს ელოდება, გვერდით კი ოქროსბაფთიანი გიტარა, ფაიფურისთავიანი თოჯინა და აკაკის ფოტო უდევს სამახსოვრო წარწერით – „სულიკო-ვარინკას.“

სამი ნუციკო

ისინი, რა თქმა უნდა, ბებია და შვილიშვილი არიან და, რა თქმა უნდა, ძალიან, ძალიან უყვართ ერთმანეთი. ვინ ისინი?.. ვინ და... დიდი ნუცა და პატარა ნუციკო.

ჩამოჰყვებიან მესამე სართულიდან თეთრსახელურიან კიბეს, გოგონას უნდა, თვითონ, ბებოს დაუხმარებლად ჩამოირბინოს, ხელის მოუკიდებლად, მაგრამ რა, ის ხელს, სულ ერთია, მაინც არ უშვებს. ეშინია, ფეხი არ დაუცურდესო, ამიტომ ნუციკო უჯერებს, მაგრამ სათქმელს მაინც ეუბნება:

– ბებო, უკვე ოთხი წლისა გავხდი, მეც ხომ უნდა ვცადო?

– უნდა სცადო, აბა რა, მაგრამ მე რომ მაინც მეშინია?! – უპასუხებს ბებია.

– ჰოდა, ნუ გეშინია. აი, მოვედით სასრილოვებთან. ჩვენი მეგობარი კაჭკაჭიც მოფრენილა, აგერ ზის, ნეკერჩხალზე... ამ ხეს ნეკერჩხალი ჰქვი, არა, ბებო?

– ნეკერჩხალი ჰქვია, ყოჩაღ, დაგიმასხოვრებია! უი, მოფრენილა ეს მატრაკვეცა უკ-

ვეე? – ელიმება ბებია ნუცას და, როგორც იქნა, უშვებს ხელს შვილიშვილს. კაჭკაჭი კი დასკუბებულა სულ მაღლა, ხის კენწეროზე და რაღაცას კაჭკაჭობს თავისთვის, თან კუდს გაშლის მარაოსავით და დაკეცავს, გაშლის და დაკეცავს. ნუციკომ ახედა – მზეც ნეკერჩხალზეა და კაჭკაჭიც, ამიტომ მარჯვენა თვალს ჭუტავს, მარცხენა ხელი შუბლთან მიაქვს და ეძახის:

– ეი, შენ!.. როგორა ხარ?

– კაჭკაჭ, ჭკრრ, ჭკრრ! – ჩამოსძახა იმან.

– რაა? – ეკითხება ნუციკო.

– რაა? – ჩამოსძახა კაჭკაჭმა მოულოდნელად.

ნუციკომ ბებიას შეხედა, ხომ არ მომესმאו.

– ნუ გიკვირს, ბები, მართლა „რაა“ ჩამოგძახა. ესენი, კაჭკაჭები, ადვილად იმახსოვრებენ სიტყვებს, თუთიყუშებზე კარგადაც კი.

– არა მჯერა! – ხმამაღლა თქვა ნუციკომ.

– არრა მჯერა! – დაიყვირა კაჭკაჭმა.

მხატვარი
მარია მსუპათაშვილი



კატაქაქა

– ბებო! – ალტაცებისგან ენა დაება გოგონას.

– ბებო! – ჩამოსძახა კატაქაქამა.

ნუციკოს მოულოდნელი ემოციისგან ცრემლებიც კი მოადგა. მისთვის ეს პირველი საოცრება იყო დაბადებიდან ოთხი წლის მანძილზე. ბებია მოეფერა და აუხსნა:

– დამშვიდდი, ნუციკო, ნუ გიკვირს. ჩვენ ხომ სულ ამ ბაღში მოვდივართ, ეს კატაქაქი კიდეც, ხომ გახსოვს, სულ ჩვენ ირგვლივ დაფრინავს, ჰოდა, კარგადაც დაუმახსოვრებია სიტყვები. აი, გვაკვირვებს კიდეც, ხომ ხედავ. მოდი, ბარემ სახელიც შევურჩიოთ. რა დავარქვათ?!

უცებ კატაქაქი ხიდან პირდაპირ მათ წინ, ცისფერ სკამზე დასკუპდა და გაოცებულ გოგონას შეჰყვირა:

– ნუციკო!

დიდ ნუცას და პატარა ნუციკოს სიცილი წასკდათ. იცინოდნენ, იცინოდნენ და ვერ ჩერდებოდნენ. ბოლოს ბებომ თქვა:

– ერქვას ამასაც ნუციკო, სადაც ორი, იქ სამი.

– ერქვას, ბებიკო, ერქვას! – კისკისებდა გოგონა, კატაქაქი კი უკვე ნეკერჩხლის ტოტებს უშლიდა ნერვებს – ხან ერთზე დაფრინდებოდა, ხან მეორეზე. მერე კი, როცა ყველა ტოტი შეაშინა, სულ კენწეროზე აფრინდა და ქანაობა დაიწყო, თან ყვიროდა: ნუციკო რაა! ნუციკო რაა!

თქვენც ხომ იცნობთ კატაქაქებს?! ჰოდა, აი რა – სცადეთ, საკენკი დაუყარეთ, დაელაპარაკეთ და თვითონვე დაგიმეგობრდებიან. დიდი ოინბაზები და ცელქები არიან. თუ მოეწონეთ, აუცილებლად გაგიბამენ საუბარს. აბა, სცადეთ!

წვიმის შემდეგ მოვდივარ,
ქოლგას ვგავარ,
ოლონდაც
მართლა ქოლგა როდი ვარ.

დავსერიწობ ალმა-დალმა
ზოზინ-ზოზინ, ნება-ნება;
ვისაც ზურგზე სახლი ადგას,
იმას არსად ერქარება.

დილას აქეთ ბაღში
დაფაჩუნობს ბუძგია,
აქეთ მსხალი, იქით ვაშლი,
ზურგზე წამოუგია.

მიცნობთ? ხეზე ვასხივარ,
ქუდიანი კაცი ვარ.

კარლსბადის მღვიმეები – ბუნების საოცრება



ოჰაიოს შტატის ქალაქ ცინცინატიდან დასავლეთის მიმართულებით ორი ათასი კილომეტრი გავიარე, რათა საკრამენტოს ქედის აღმოსავლეთით მდებარე ბუნების საოცრება – კარლსბადის მღვიმე მენახა...

ვრცელ შესასვლელ დარბაზში ხალხი ირევა. ისინი კრძალვით დადიან, ფეხაკრეფით, როგორც ტაძარში, ჩუმად საუბრობენ.

დარბაზის ცენტრში სალაროებია, ხელმარცხნივ – ჩქაროსნული ლიფტები, რომლებიც უმალ ჩაგიყვანენ სამასი მეტრის სიღრმეში...

გამიხარდა, როცა მითხრეს, მღვიმეში მარტო შემეძლო ჩასვლა და დათვალეირება (ცხადია, მკაცრად დადგენილი მარშრუტით).

ვიდრე ლიფტთან მიხვალთ, მარცხნივ, კედელზე მაღალი, ხმელი, ტიპური კოვბოის უზარმაზარი ფოტოსურათი კიდა.

„ჯიმ უაიტი“ – ვკითხულობ ნარწერას.

აი, თურმე როგორი ყოფილა ეს გამბედავი, ჯიუტი კაცი, რომლის სახელიც განუყრელად არის დაკავშირებული კარლსბადის მღვიმესთან.

კარლსბადის მღვიმე ჯიმ უაიტს არ აღმოუჩენია; მის დაბადებამდე ამ მხარეში ღამურების მღვიმედ წოდებულ ადგილებს ახლოსაც არავინ ეკარებოდა, მაგრამ XX საუკუნის დასაწყისში გამოჩნდა ჯიმ უაიტი, ერთი მწყემსი ბიჭი, რომელმაც, გამეფებული ცრურწმენებისა და შიშის მიუხედავად, მღვიმეების გამოკვლევა განიზრახა და უზარმაზარი გამოქვაბულის ძირითადი დარბაზები მარტოდმარტომ შემოიარა! მრავალი წლის მანძილზე სრულიად მარტო იკვლევდა მიწისქვეშა ლაბირინთებს, რადგან ვერავინ დაითანხმა, მღვიმეში გაჰყოლოდა.

ბოლოს, როგორც იქნა, შეძლო, მღვიმის უნიკალობაში დაერწმუნებინა ადგილობრივი ხელისუფლება და ამერიკის მთავრობა, რაც იმ დროისთვის ნამდვილი გმირობა იყო...

ცნობისმოყვარე ჯიმ უაიტმა პირველად ოცი წლის ასაკში შედგა ფეხი მიწისქვეშეთში. იმ დღისთვის საფუძვლიანად მოემზადა – მოიმარაგა თოკები, მავთულები, რომელსაც მიწის ნაკვეთების შემოსაღობად ხმარობდნენ; ნავთის ლამპა, ხის ტოტები თოკის კიბის საფეხურებად და მღვიმეში ჩაეშვა.

თვალი მალე შეაჩვია სიბნელეს. ნელა მიიწევდა წინ. ლამპის შუქი ოდნავ წვდებოდა მღვიმის ნესტიან, მრუმე კედლებს.

რაც უფრო ღრმად შედიოდა, უჩვეულო სანახაობა მატულობდა. ჯიმის თვალწინ მიწისქვეშეთის ზღაპრული პეიზაჟი გადაიშალა!

მღვიმეს დასასრული არ უჩანდა.

ფანტასტიკური ფორმების ჭვრეტით გართულმა ჭაბუკმა დროის შეგრძნება დაკარგა და... უცებ ლამპის პატრუქი შეფარფატდა და ჩაქრა – ნავთი გამოილია!

ირგვლივ სამარისებურმა სიჩუმემ და წყვდიადმა დაისადგურა!

ეს წუთებია ყველაზე კრიტიკული მღვიმეების მკვლევართა ცხოვრებაში! თვალის გაფართოებულ გუგებთან ნარინჯისფერი წრეები იწყებენ როკვას! თითქოს სიჩუმე გესმის! თითქოს სიბნელეს ხედავ! რა თქმა უნდა, პარადოქსია, მაგრამ ამის წარმოდგენა მხოლოდ მას შეუძლია, ვისაც მღვიმეში თუნდაც ერთხელ ჩაჰქრობია მაშუქი...

ჯიმი მიხვდა, რომ თუ ლამპაში ნავთის ჩასხმას ვერ შეძლებდა, ვერასოდეს გამოაღწევდა მღვიმის ლაბირინთებიდან...

გულის გამალებული ბაგაბუგი თითქოს სადღაც შორიდან ესმოდა...

უკუნეთ სიბნელეში სათადარიგო ქილიდან ლამპაში ნავთის ჩასხმა მოახერხა და ჯიბეში ფრთხილად მოიძია ასანთის ძვირფასი ღერები.

რამდენიმე უშედეგო ცდის შემდეგ ფითილი აინთო. სუსტმა, ნარინჯისფერმა შუქმა უმალ გაფანტა წყვდიადი...

ჯიმს გადარჩენის იმედი გაუჩნდა.

კარგად იცოდა, რომ ნავთი დიდხანს არ ეყოფოდა. საჭირო იყო, სწრაფად გაეღწია აქედან!

ჯიმი თავკუდმოგლეჯილი გავარდა გასასვლელისკენ! არად დაგიდევდა საფრთხეს, ყოველ ნაბიჯზე რომ იყო ჩასაფრებული... უცებ თავით შეასკდა სტალაქტიტს. თვლებიდან ნაპერწკლებმა დაკვესა. სისხლმა იფეთქა. თვალში თბილი ნაკადი ჩაეღვარა...

დარტყმამ ცივი შხაპით იმოქმედა. სწრაფად მოეგო გონს და დინჯად გაემართა გასასვლელისკენ. როგორც იქნა, იმ ადგილამდე მიაღწია, სადაც თოკის კიბე ჰქონდა დატოვებული...

ბანაკში მწყემსები უნდობლად ისმენდნენ მის მონათხრობს უზარმაზარ მიწისქვეშა დარბაზებსა და ულამაზეს ქვის ლოლუებზე – ეს ყოველივე ჯიმის მონაჩმასად მიაჩნდათ.

არც ქალაქ ედის მცხოვრებლებმა დაიჯერეს მწყემსის ნაამბობი; თუმცა აღმოჩნდა კაცი, რომელსაც ჰქონდა წიგნი მამონტის მღვიმეზე. ამ წიგნში დაახლოებით ისეთივე ჩანახატებს ნახავდით, როგორზედაც ჯიმ უაიტი უყვებოდათ.

წიგნი რომ უნახავს, ჯიმს დაბეჯითებით უთქვამს – ჩემი მღვიმე უფრო ლამაზი და გრანდიოზულიაო.

გავიდა ათი წელი. ერთ დღეს ჯიმს ორმა ახალგაზრდამ მიმართა თხოვნით – მღვიმე ერჩენებინა.



თავგადასავლების მაძიებელი ახალგაზრდები მანქანით მოგზაურობდნენ კონტინენტზე. შემთხვევით აღმოჩნდნენ ამ მიდამოებში და ადგილობრივი მცხოვრებლებისგან შეიტყვეს უცნობი მღვიმის ამბავი. იქაური ფოტოგრაფიც დაითანხმეს, რომ ჯგუფს გაჰყოლოდა...

ფოტოგრაფის მიერ მღვიმეში გადაღებულმა სურათებმა სენსაცია გამოიწვია!

ყინული დაიძრა! 1922 წელს ჯიმისთან ერთად ცამეტი მოხალისე ჩაეშვა მღვიმეში. ისინი აღფრთოვანებულები იყვნენ ნანახითა და განცდილით.

მღვიმე ქალაქის სიამაყედ იქცა!

მალე ქალაქ ედს კარლსბადი ეწოდა.

ადრე თუ სასაცილოდ იგდებდნენ ჯიმს, ახლა დიდი და პატარა თავის სამსახურს სთავაზობდა. ვაშინგტონში ბარათი აფრინეს; მოითხოვდნენ – ჯიმის მღვიმე ეროვნულ ძეგლად ან ნაკრძალად გამოეცხადებინათ.

ხელისუფლებამ ისეთივე სკეპტიციზმი გამოიჩინა, როგორც ადრე ქალაქის მცხოვრებლებმა...

ბოლოს კარლსბადის მოქალაქეებმა ადგილობრივ სენატორებსა და კონგრესმენებს მოსთხოვეს, საქმეში ჩარეულიყვნენ.

1923 წლის დასაწყისში აშშ-ის მინების სამმართველომ ქანების სპეციალისტს – რობერტ ჰოლს დაავალა, მღვიმის შესახებ არსებული ცნობები შეემოწმებინა.

ჰოლის ვარაუდით, საკითხის შესწავლას ერთი თვე მაინც დასჭირდებოდა; მაგრამ მღვიმეში ერთხელ ჩაშვებაც საკმარისი აღმოჩნდა, რომ პასუხიც მზად იყო.

რობერტ ჰოლი ხელისუფლებას სთავაზობდა, კარლსბადის მღვიმეს ეროვნული ძეგლის სტატუსი მიანიჭებოდა. ამის შემდგომ მოვლენები ელვის სისწრაფით განვითარდა.

1923 წლის 25 ოქტომბერს აშშ-ის პრეზიდენტმა ხელი მოაწერა დოკუმენტს, რომლის ძალითაც კარლსბადის მღვიმე ეროვნულ ძეგლად გამოცხადდა. საინტერესო პარალელი – წყალტუბოს მღვიმის კეთილმოწყობასაც საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ხელმოწერა დასჭირდა.

დაიწყო მღვიმის კეთილმოწყობა. ჯიმ უაიტი მღვიმის მთავარ მცველად დანიშნეს.

დღეისთვის კარლსბადის მღვიმის დამთვალიერებლები ყოველგვარი რისკის გარეშე ეშვებიან სამასი მეტრის სიღრმეში.

ექსკურსია, რომელსაც მთელი სიცოცხლე ვერ დაივიწყებთ, ოთხ საათს გრძელდება.

ცნობილი ექიმი და სპელეოლოგი, ამერიკის დასავლეთის მღვიმეებზე ზედამხედველობის ყოფილი დირექტორი, პროფესორი უილიამ ჰოლიდეი ნიგნში „თავგადასავლები მიწისქვეშეთში“ წერს: კარლსბადის მღვიმის აღწერა შეუძლებელია; ეს ადამიანის შესაძლებლობებს აღემატება! საკმარისია ითქვას, რომ იგი უდიდესია ამერიკაში და



სულ რამდენიმე მღვიმე თუ შეედრება დედამიწაზე და ისიც ნაწილობრივ!

კარლსბადის მღვიმეს ყოველდღიურად ათასობით ტურისტის ათვალიერებს მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან.

რვა საათს დავდიოდი მღვიმის ტალანებსა და დარბაზებში და... დავიღალე – არა ფიზიკურად, არამედ ემოციებისგან. ორმოცი წლის მანძილზე რამდენიმე ასეული მღვიმე მოვინახულე საქართველოში, ყირიმში, ურალში, შორეულ აღმოსავლეთში; ვნახე ბულგარეთისა და ჩეხეთის, სლოვაკეთისა და უნგრეთის ულამაზესი მღვიმეები, მაგრამ კარლსბადის მღვიმეს გრანდიოზულობით, ნაღვენთი ფორმების სიუხვითა და მრავალფეროვნებით მხოლოდ იტალიის ცნობილი მღვიმე – ფრასასი თუ შეედრება, ისიც ნაწილობრივ.

ბუნებას მთელი ფანტაზია აქ, კარლსბადის მღვიმეში დაუხარჯავს!..



ჯიმ უაიტი

წუნურაქი

იმ დიდ სოფელში ბევრ ადამიანს ერქვა მეტ-სახელი, მაგრამ ისე კი, რომ ნამდვილი სახელე-ბიც ახსოვდათ.

აი, წუნურაქის ნამდვილი სახელი კი, მე მგო-ნი, დავინწყებოდათ. წუნურაქი ძუნნი ადამიანია. ეს კაცი კი თითქოს მთლად ძუნნიც არ იყო; მუ-ხლჩაუხრელად შრომობდა, შემოსავალიც ჰქონ-და და სარჩენიც მრავლად ჰყავდა - წვრილშვი-ლი იყო. ამათ გამო იყო თუ რატომ, არ ვიცი და ფულის ხარჯვა კი ძალიან ენაწებოდა. აუცილე-ბლად საჭირო რამის გარდა არაფერს შეიძენ-და: არც სახლის გასალამაზებლად, არც ვინმეს საჩუქრად, ეგ კი არა და, მის ოჯახში გაშლილი სუფრაც კი არ ახსოვდა ვინმეს. არც თვითონ აუტალახებდა სახლის კარს არავის. თუ მაინც-დამაინც რამდენჯერმე სთხოვდნენ სტუმრად მისვლას, მივიდოდა, სამ-ოთხ სადღეგრძელოს მოუსმენდა, ძუნნად იტყოდა: „ღმერთს დიდე-ბაო“, „შეგენიოთ“ ან სულაც, „ნათქვამს გაუმარ-ჯოსო“; დაუკრავდა თავს მასპინძელს გამომშვი-დობების ნიშნად და წავიდოდა.

– ქა, სიტყვის წუნურაქიც როა. – იტყოდნენ ქალები.

ერთხელაც, ეს ჩვენი წუნურაქი შეუძლოდ შეიქმნა; ვერ გაიგეს, რა სჭირდა. შინაური ნამლებით რომ ვერ უშველეს, ექიმებთან წაიყ-ვანეს ქალაქში. ანალიზებით, ექოსკოპიაო, კარ-დიოგრამაო, რენტგენიო... მოკლედ, კარგა ხანს დარჩნენ ქალაქში და რომ ჩამოვიდნენ, ისე გამხ-დარიყო, ისე გაფერმკრთალებულიყო წუნურა-ქი, რომ ლამის ვერ იცნო სოფელმა.

ნელ-ნელა მოიხედა. იქით მკურნალობამ, აქეთ სოფლის ჰაერმა თავისი გაიტანა. ბალ-ბოსტანში გამოდიოდა, ფაცუნობდა ცოტას, მაგრამ ძველე-ბურად ჯერ მაინც ვერ შრომობდა. არადა, გაზა-ფხული კარს მოდგა და აუარება საქმე იყო თუ შინ, თუ გარეთ. ცოლ-შვილმა ითავა ეს საქმე და მალე დასაბარი დაიბარა და დასათესი დაითესა.

ერთ დღეს კი სოფელი მოპატიჟემ გააკვირვა. წუნურაქის ვაჟმა ჩამოიარა ოჯახები და უფრო-სებს მოახსენა: მამაჩემი ვახშმად გეპატიჟება-თო. ყველას უკვირდა: – ვინ წუნურაქი და ვინ სტუმრად მიწვევაო.

მაინც ესტუმრნენ. შეძლებისდაგვარად კარ-გი სუფრა გაეშალათ.

– მობრძანდით, მეზობლებო, მობრძანდი-თო. – ეპატიჟებოდა ყველას წუნურაქი და სათი-თაოდ ხელს ართმევდა.

სუფრას შემოუსხდნენ. ღმერთი ახსენეს; ოჯახი დალოცეს, ოჯახის უფროსს გამოჯანმრთელება

მიულოცეს და კარგად ყოფნა უსურვეს. სამად-ლობელი თქვა წუნურაქმა და სიტყვა გააგრძელა:

– თქვენა, ჩემო კარგებო, წუნურაქს კი მე-ძახით, მაგრამა, მე უფრო ხელმომჭირნე და ყაირათიანი მგონია ჩემი თავი. ადრე რამდენ-ჯერმე დავაპირე-კიდეც მეთქვა ეს თქვენთვის და ვერ კი მოვიცალე. ხან შესაფერისი დრო არ იყო, ხან გაჩუმება ვამჯობინე. მოკლედ, ახლა უნდა გითხრათ ყველაფერი: ჯერ ერთი, მე რომ ცოტაოდენი დანაზოგი არა მქონოდა, ახლა ამ ავადმყოფობისას თავს ვინ წამომინვედა. კი, ნა-თესავებიც დამეხმარნენ, დედამიშვილებიცა, ჩემი ოჯახიც განვალდა, მაგრამ თადარიგი მე კი არ მეკუთვნოდა?! მეორეცა, ეს ჩემი შვილები რომ გამეზულუქებინა მათზე საშინელი იქნებო-და ვინმე? ჯერ ზარმაცია ადამიანი რა არის და აი, თავმდაბალ, უპრეტენზიო ზარმაცზე საშინელია ეს გაზულუქებული.

ჩემი ბალები ბევრნი არიან და სულ ერთმა-ნეთზე ზრუნავენ, სად სცალიათ ზულუქობისა და უსაქმურობისათვის, მაგრამ რომ მიმეშვა? შრომას რომ არ მიმეჩვია და მეძახნა: – ოლონდ თქვენ ისწავლეთ და თქვენი არაფერი მინდაო. ჰო, ვიცი, სწავლაც შრომაა, მაგრამ სად გაგონი-ლა მარტო წიგნებში და კომპიუტერში ჭყიტინი;

არ ვიცი, მართალი ვიყავი თუ არა, მაგრამ ჩემი შვილები რომ ამ გაჭირვებაში გვერდით ამომი-დგნენ, თქვენი თვალითა ხედავთ; ცოცხალსა და გამოკეთებულს ხო მხედავთ და მხედავთ და ეგერ ბალ-ბოსტანიც თქვენ წინაა. – დაამთავრა სიტყვა წუნურაქმა.


თანასოფლელები გაოცებით უსმენდნენ, თანხმობის ნიშნად თავს უქნევდნენ და უწონებდნენ საქციელსაც და ნათქვამსაც.

მე ვფიქრობ, რომ წუნურაქი მართალი იყო, შენ?

მხატვარი კოკი მანარაძე



ზღაპარ-გამოცანები



გლებმა ბარტყები მოჰპარა,
არად ჩააგდო ჩიტი.
შვილების გამოსახსნელად
მყისვე გაფრინდა - - - - ტ -

მძივი ჰქონდა და წაართვა,
არ შეარჩინა მეფემ,
შენვა, ჩაყლაპა, მაგრამ რა?
ვერ გააჩუმა აგრე.
ზღაპარს რა ჰქვია, ხომ გახსოვს?
რა და ,
-- ტ - და -- ფ -

დედა ბიჭს მანეთს აძლევდა,
მამა ბუხარში ყრიდა.
ნაოფლარი რომ დაუნვა,
აი, მაშინლა მიხვდა:
თურმე ძალიან ძნელია,
მუქთად შაურის პოვნა.
ერთი შეხედვით სულ მცირე
ერთი - - ნ - - - - შ - - - -

ბანარი რომ დაეგრიხა
შეაწუნა ღორი,
მერე მუხასთან გაიქცა,
არ დაზოგა ღონი.
მუხას მოჰყვა ყვავი, კრუხი,
მერე კიდევ ორმო,
თაგვი, კატა, ჰოდა, ძროხაც
დაყაბულდა ბოლოს.
ამისთანა მეგობრობა,
განა იცის ყველამ?
მიუყვებიან მდინარეს
-- ყ - - - და - - - ნ - - - -

დევი ჭკუით მოატყუა,
კიდობანშიც ჩასვა.
ამისთანა ხერხის მქონე
-- - კ - - - - - გახლდათ.

ცერის ოდენა ბიჭია,
თუმც არ სჭირდება დევნა,
ასეთი მოხერხებული
ვინ გახლავთ? - - რ - - - - -

ვაშლების ჭამის მიზეზით
ბიჭი აფრინეს ხიდან.
დედაბრის ლუკმად საქცევი,
ვინ იყო? - - - - - ჭ - - -





იპოვე 10 განსხვავება

ჟურნალ „დილას“ 2013 წელს მიენიჭა არამატერიალური
კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი

მთავარი რედაქტორი: დოქორი ნინო ნინიანიძე
 ნახატი ყდაზე: ვაჟა შურსულიანი
 მის.: ზანდუკელის ქ. 1, ტელ.: 2 93 69 77
<http://www.dila.ge>, ელ-ფოსტა: dila1904@yahoo.com,
 facebook: საბავშვო გამომცემლობა დილა
 ფასი: 2.50 ლარი



ჟურნალი გამოდის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და სსიპ „მწერალთა სახლის“ მხარდაჭერით.



საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო